

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია გორგიშელი

**გვჭირდება თუ არა
ეროვნული ბიბლიოგრაფია?!**

თბილისი
2006

უკ (UDC) 01
გ 698

რედაქტორი ზაზა აბაშიძე

ISBN 99940-67-50-8

რედაქტორისაგან

2005 წლის დეკემბერში გაუქმდა საქართველოს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო წიგნის პალატა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა ქართული ნაბეჭდი პროდუქციის (წიგნი, ბროშურა, ჟურნალი, გაზეთი და ა.შ) მთავარ არქივს და ეროვნული ბიბლიოგრაფიის შექმნის და გამოცემის ცენტრს. წიგნის პალატის - ამ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და კულტურული ფუნქციის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს პარლამენტის ძალისხმევით ეს ლიკვიდირებული ორგანიზაცია ცალკე ქვედანაყოფის (დეპარტამენტის) სახით შეუერთდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რომელსაც აქედან გამომდინარე დაეკისრა ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება.

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ „მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს სარკეს, რომელშიც ქვეყნის კულტურა ირეკლება...“ და, რომ მან „უნდა ასახოს ქვეყნის ინტერესები და უნიკალური თვისებები.“ ეროვნული ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა და მისი წარმოების აუცილებლობა აღნიშნულია უამრავ საერთაშორისო დეკლარაციაში და თუ რეკომენდაციაში. დღეს წარმოუდგენელია განვითარებული სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოგრაფიის თანამედროვე სტანდარტებით წარმოების გარეშე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ზოგჯერ გამოითქმება ეჭვი ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტის ცალკე ერთეულად არსებობასთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ქალბატონ ია გორგიშელის მიერ მომზადებული მასალა და თანდართული დოკუმენტი ნამდვილად გააქარწყლებს ამ ეჭვს და დაეხმარება მკითხველს უკეთ გაერკვეს თუ რა არის ეროვნული ბიბლიოგრაფია, რა მნიშვნელობა აქვს მის წარმოებას და ბეჭდური პროდუქციის მთავარი არქივის არსებობას.

ეროვნული ბიბლიოგრაფია საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში. (ზოგადი მიმოხილვა)

საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ პრაქტიკაში ტერმინი, ეროვნული ბიბლიოგრაფია, აღნიშნავს ბიბლიოგრაფიის სახეობას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიაზე მისი ისტორიული განვითარების პროცესში შექმნილი ყველა დოკუმენტის შესახებ (ხელნაწერიდან ელექტრონულამდე) უნივერსალური ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მოძიებას და გამოყენებას.

„მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს სარკეს, რომელშიც ქვეყნის კულტურა ირეკლება. იგი საშუალებას აძლევს ეროვნული ბიბლიოგრაფიით დაინტერესებულ ადამიანს გაეცნოს ქვეყნის განსაკუთრებულობას. მიმდინარე ეროვნულმა ბიბლიოგრაფიამ ისევე უნდა ასახოს ქვეყნის ინტერესები და უნიკალური თვისებები, როგორც სარკე ასახავს თითოეული ადამიანის უნიკალურობას“ (Bell, 1998).

მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფიის ამოცანებია მაქსიმალურად სრული, ოპერატიული, სისტემატიზებული ინფორმაციის უზრუნველყოფა ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემულ სხვადასხვა სახეობის დოკუმენტებზე, რაც მიიღწევა მათი ზუსტი აღრიცხვით და რეალიზდება ბიბლიოგრაფიული გამოცემების სახით.

ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ მე-20 საუკუნის შუა პერიოდამდე აღრიცხვის ერთადერთ ობიექტს წიგნი წარმოადგენდა. თანდათან ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში ჩართეს პერიოდული გამოცემები და დოკუმენტების სხვა სახეობები, აგრეთვე სტატიები ჟურნალებიდან და გაზეთებიდან. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დოკუმენტების ახალი სახეობების, ინფორმაციის არატრადიციული მატარებლების გამოჩენამ მოითხოვა აღრიცხვის ობიექტების გაფართოება. ეროვნული ბიბლიოგრაფიის საერთაშორისო კონგრესზე 1977 წელს დადგინდა ეროვნული ბიბლიოგრაფიის რეგისტრაციის მინიმუმის პირველი დონე, ხოლო IFLA-ს 46-ე სესიაზე (მანილა, 1980) - შემდეგი ორი დონე. ამასთან, ყოველი ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო (ან ეროვნული ბიბლიოგრაფიის მწარმოებელი ორგანიზაცია) დამოუკიდებლად წყვეტდა საკითხს აღრიცხვის ობიექტების შესახებ და გააჩნდა მოქნილი შესაძლებლობები დოკუმენტების მომცველობის გასაფართოებლად. ამჟამად, აღნიშნული სამი დონის შესაბამისად რეგისტრირდება შემდეგი გამოცემები:

- 1.1 წიგნები, სერიული გამოცემები (ახალი და შეცვლილი სახელწოდებები), ოფიციალური გამოცემები და სხვა;
- 1.2 დისერტაციები, კარტოგრაფიული გამოცემები, სტანდარტები, პატენტები, გამოგონებათა აღწერილობები, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშები;
- 1.3 სტატიები, იზომასალები, გრამფირფიტები, გამოცემები ბრაილის შრიფტით, აუდიო და ვიდეო კასეტები, საფირმო პროსპექტები და კატალოგები, ფილმები, ინფორმაციის კომპიუტერული მატარებლები.

ამჟამად, მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა თავის ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში არ აწარმოებს ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტების სახეობის აღრიცხვას. მაგრამ ნათელია, რომ დოკუმენტების აღრიცხვიანობის დიაპაზონი მეტია იმ ქვეყნებში,

სადაც ეროვნულმა ბიბლიოგრაფიამ დააგროვა დიდი ტრადიციები და მდიდარი გამოცდილება. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ევროპულ ქვეყნებს.

ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების ფუნქციები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ქვეყანაში გამოცემული ყველა ბეჭდური პროდუქციის ამომწურავი აღრიცხვა;
- ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების წარმოდგენა მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფიის გამოცემების სახით და საკატალოგო ბარათებით, ელექტრონული ლენტებით და სხვა ფიზიკური ფორმებით, რომლებიც მომავალში შეიძლება შეიქმნას;
- სამამულო გამოცემების რეტროსპექტული კრებულების შედგენა და მათზე მონაცემთა ბანკების შექმნა;
- ეროვნულ ავტორთა სახელებზე სიების შედგენა;
- მეთოდური მუშაობის ჩატარება ცენტრალიზებული კატალოგიზაციის და ბიბლიოგრაფიული აღწერილობის წესების შესადგენად, გამოცემთა ეროვნული კოლექციის კატალოგის შედგენა.

უმეტეს ქვეყნებში ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების ფუნქციას ასრულებენ ეროვნული ბიბლიოთეკები. თუმცა, რიგ ქვეყნებში შეიქმნა განსხვავებული ორგანიზაციული სტრუქტურები. მაგ. პოლონეთში, ესპანეთში, ბრაზილიაში, რუსეთში, იუგოსლავიაში ამ ფუნქციას ასრულებენ დამოუკიდებელი დაწესებულებები (წიგნის პალატები, ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტები, წიგნის ინსტიტუტები). ზოგიერთ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სპეციალური ქვეგანყოფილებები, რომლებიც სააგენტოს ფუნქციას ასრულებს. ასე მაგალითად, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შექმნილია ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცენტრი, ხოლო ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში - ბიბლიოგრაფიული სამსახურების განყოფილება, რომლის საფუძველი გახდა ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიის საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ეროვნული ბიბლიოგრაფიის აღრიცხვის ფუნქციის შესრულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ ერთ სტატუსში ჩაყენებას. უმნიშვნელოვანეს ამოცანას ნებისმიერი ეროვნული ბიბლიოთეკისთვის წარმოადგენს ფონდების სამამულო გამოცემებით დაკომპლექტება, აგრეთვე “უცხოური დოკუმენტებით (ინტერესების ფარგლებში) მაქსიმალურად დაკომპლექტება და ამ ფონდის სამუდამო შენახვა”. სწორედ, სამამულო ფონდის შექმნა ბიბლიოთეკის მიერ, აძლევს მას საშუალებას უზრუნველყოს ეროვნული რეგისტრაცია და მოამზადოს ეროვნული ბიბლიოგრაფიული საძიებლები.

მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფიის საფუძველია კანონი სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ. სავალდებულო ეგზემპლარი წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს ეროვნული ფონდის ჩამოყალიბების საქმეში. ეროვნული ფონდი კი თავის მხრივ ეროვნული მემკვიდრეობაა.

ამ კანონის ისტორია დაიწყო საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I -ის ორდონანსის (განკარგულების) გამოცემით 1537 წელს. დიდი ხნის განმავლობაში სავალდებულო ეგზემპლარის სისტემა ორ ამოცანას წყვეტდა, პირველი: ხელს უწყობდა უმსხვილესი ბიბლიოთეკების ფონდების შევსებას (ძირითადად სამეფო და სამთავრობო) და მეორე: შესაძლებლობას იძლეოდა ხელისუფლებას გაეკონტროლებინა ადგილობრივი ტიპოგრაფების, გამომცემლების და წიგნითმოვაჭრეების საქმიანობა. ამჟამად, სავალდებულო ეგზემპლარი, მნიშვნელოვანი ატრიბუტია ყოველი ქვეყნის

საგამომცემლო და წიგნის კულტურის საქმეში, ვინაიდან, სწორედ ის უზრუნველყოფს დოკუმენტების ეროვნულ აღრიცხვას და უნივერსალური ბიბლიოგრაფიული წყაროების მომზადებას, ბეჭდვის ეროვნული სტატისტიკის წარმართვას, ზოგადეროვნული საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირებას; ხელს უწყობს წიგნის საერთაშორისო გაცვლას და ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის არქივის შექმნას.

სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც მასალების მიტანა ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებამდე არ არის რეგლამენტირებული კანონით სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ, რაც არარეგულარულს ხდის მათ აღრიცხვას. (აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის და ამიერკავკასიის 103 ქვეყნიდან 65 აქვს კანონი სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ). ეს ეხება აგრეთვე ოფიციალურ დოკუმენტებსაც (სამთავრობო გამოცემები), რომელთა აღრიცხვა შემთხვევით ხასიათს ატარებს, მით უმეტეს, რომ ეს დოკუმენტაცია ეროვნული ბეჭდური პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობას წარმოადგენს.

კანონი სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ, ყველა ქვეყანაში, რაღაც დეტალებში განსხვავდება ერთმანეთისაგან. საერთოა ის, რომ სავალდებულო ეგზემპლარი წარმოადგენს **ეროვნული ბიბლიოგრაფიის ფუნდამენტს, განსაკუთრებით მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფიისა**. ბიბლიოგრაფიული სამსახურების საერთაშორისო კონფერენციის დასკვნით რეკომენდაციებში (ICNBS, რეკომენდაცია 1), (კოპენჰაგენი, 1998 წ.) ნათქვამია, რომ კანონმა სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ ეფექტურად რომ იმუშაოს საჭიროა თანამშრომლობა და კოოპერაცია გამომცემლებსა და ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტოს შორის (კოპენჰაგენი, 1998 წ.).

ამგვარად, მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფია, წარმოუდგენილია სავალდებულო ეგზემპლარის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოგრაფია ქვეყნის კულტურას ასახავს, როდესაც ქვეყანაში რამდენიმე ენაზე საუბრობენ, ეს უნდა აისახოს ეროვნულ ბიბლიოგრაფიაშიც. ICNBS მე-5 რეკომენდაციით ეროვნული ბიბლიოგრაფია უნდა იყოს შედგენილი იმ ენაზე, იმ დამწერლობაზე, რომელზეც არის გამოცემული დოკუმენტი. შეძლებისდაგვარად ჩანაწერებში მითითებული უნდა იყოს ცნობები იმ ენის შესახებ, რომელზეც გამოქვეყნებულია პირველწყარო. ბევრი ქვეყანა ცდილობს გაითვალისწინოს ეს რეკომენდაცია. მაგ.: თურქეთი, ისრაელი, არაბეთი 2 ენაზე, ინდოეთი 14 ენაზე, ნეპალი 6 ენაზე აღწერს. საქართველო აფხაზურ, ოსურ და რუსულ გამოცემებს უნდა აღწერდეს ამ ენებზე.

მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფია საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული თანამშრომლობის ფუნდამენტს წარმოადგენს. ამიტომ, ეროვნული ბიბლიოგრაფიის ზუსტი და რეგლამენტირებული აღრიცხვის სისტემის გარეშე შეუძლებელია ქვეყნებს შორის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცვალა. ინფორმაციის გაცვლის მოწესრიგების აუცილებლობა გახდა საფუძველი პროგრამისა - უნივერსალური ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა (UBC - Universal Bibliographic Control). რომელიც წარმოადგენს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მოქნილ სისტემას მსოფლიო გამოცემების შესახებ.

მიმდინარე ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების პარამეტრები. (ICNBS, რეკომენდაცია 7), ინფორმაციის ოპერატიულობა და გავრცელება შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს, 1. გამოცემების რეგისტრაციის ოპერატიულობა, 2. ეროვნული ბიბლიოგრაფიის გამოცემების ოპერატიულობა, 3. ეროვნული ბიბლიოგრაფიის გამოცემის მომენტიდან

ადრესატამდე - მიწოდების ოპერატიულობა. წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული თუ რა ქრონოლოგიურ პერიოდის მოიცავს ესა თუ ის ბიბლიოგრაფიული საძიებელი. ზოგჯერ შეიძლება გამოცემის რეგისტრაცია ოპერატიულად მოხდეს, მაგრამ ეროვნული ბიბლიოგრაფიული საძიებელი შეფერხებით გამოიცეს. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზია **კადრების ნაკლებობა, დაფინანსების პრობლემები და ბიუროკრატიზმი**. სწორედ უფინანსობა იყო მიზეზი იმისა რომ 1990 წლიდან დღემდე საქართველოში ბიბლიოგრაფიული საძიებლები „მატიანეები“ დიდი შეფერხებით გამოიცემოდა. ზოგიერთი ქვეყანაში ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში ქრონოლოგიური მომცველობა რამდენიმე წლისგან შედგება. როცა რეგისტრაცია დროულად ხორციელდება და ფერხდება ეროვნული ბიბლიოგრაფიის საძიებლების გამოცემა, მისი ოპერატიულობა ნულამდე დადის. ფართო ქრონოლოგიური მომცველობის საძიებლები შემლებისდაგვარად წელიწდეულებად უნდა გამოიცემოდნენ. რაც შეეხება მათი მომხმარებლამდე მიწოდების ოპერატიულობას ეს ხშირად დამოკიდებულია გარე პირობებზე და მიზეზი ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. მაგ საფოსტო მომსახურება და ა.შ.

ბოლო დროს ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდა გამოსაცემად მომზადებული მასალის ბიბლიოგრაფიული საძიებლები, რომელთაც საფუძველი დაუდეს ახალ მიმართულებას - პერსპექტიულ ეროვნულ ბიბლიოგრაფიას. იგი დაკავშირებულია კონგრესის ბიბლიოთეკის პროგრამასთან „კატალოგიზაცია გამოცემაში“ CIP (Cataloguing in Publication), რომელიც ეროვნულიდან საერთაშორისო გახდა. CIP-ის ძირითადი მიზანია დოკუმენტის ეროვნული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შექმნა დოკუმენტის მომზადების პროცესში და ამ ფორმით მისი ჩართვა ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ საძიებელში. პერსპექტიული ეროვნული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ხშირად მიმდინარე ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში აისახება ნიშნით CIP. ეს პროგრამა ერთ-ერთი ეფექტური გზაა ეროვნული ბიბლიოგრაფიების გამოცემების ოპერატიულობის ასამაღლებლად.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის დროული და ეფექტური გავრცელება ყველაზე კარგად მიიღწევა მონაცემთა ბაზებთან ქსელურ/ინტერნეტ დაშვებით, რომელიც რეგულარულად ივსება ახალი ჩანაწერებით. ეროვნული ბიბლიოგრაფიის სამსახურების საერთაშორისო კონფერენციის (ICNBS) დასკვნით რეკომენდაციებში (1998), დადასტურებულია შესაძლებლობა ეროვნული ბიბლიოგრაფიების სხვადასხვა ფორმატით გავრცელებასთან დაკავშირებით: “ვინაიდან მხედველობაშია მისაღები არსებული ფორმატების მრავალფეროვნება, რომლებშიც ვრცელდება ეროვნული ბიბლიოგრაფიები, ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა მომხმარებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უნდა გამოიყენონ ერთი ან მეტი არსებული ფორმატი” (რეკომენდაცია 6).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეროვნული ბიბლიოთეკა კომპიუტერიზებულია და ისინი ჩართულნი არიან ინტერნეტში, მაინც უპირატესობას ნაბეჭდ ფორმატს, ბიბლიოგრაფიული მასალების წიგნად ან ფურცლოვან გამოცემებს ანიჭებენ, რადგან ყველაზე მისაღებია ის ფორმატი, რომელიც ინფორმაციის შენახვას უზრუნველყოფს. ეს რეკომენდაცია დაბეჯითებით გვირჩევს, რომ „უკიდურეს შემთხვევაში ეროვნული ბიბლიოგრაფიის ერთი ფორმატი მაინც უნდა აკმაყოფილებდეს საარქივო შენახვის და დაცვის პირობებს და უნდა იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი“. იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული ბიბლიოგრაფია არის მხოლოდ ნაბეჭდი სახის, ბეჭდვის დროს უნდა გამოყენებულ იქნას ფურცელი და საღებავი მჭავის გარეშე.

ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიები (ENB - Electronic National Bibliography) (ონ-ლაინ და CD-ROM) 80-იანი წლების ბოლოს გაჩნდა. ბევრმა ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტომ უკვე დაიწყო ეროვნული ბიბლიოგრაფიების ელექტრონული ფორმით გამოცემა სულ უფრო პოპულარული ხდება ინტერნეტ ვერსიები. მაგრამ ეროვნული ბიბლიოთეკების საიტებზე ზოგჯერ მწიფია იპოვო თვითონ ეროვნული ბიბლიოგრაფია ან ინფორმაცია მის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ინტერნეტში ანთავსებს ელექტრონულ კატალოგებს, რომლებიც ოპერატიულად განახლებადია. მომავალში ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი ეროვნული ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზა, ვინაიდან, მას განსხვავებული კატეგორიის მომხმარებელი ჰყავს. შესაბამისად გასათვალისწინებელია უშუალოდ ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში ჩასართავი ინფორმაცია. (ICNBS-რეკომენდაცია 8). იგი მოიცავს უმთავრეს მითითებებს, რომლებიც ეხმარება მომხმარებელს ეროვნულ ბიბლიოგრაფიაზე ინფორმაციის მოპოვებაში და მის იდენტიფიკაციაში. ეროვნული ბიბლიოგრაფია უნდა შეიცავდეს ინფორმაციებს გამომცემლის ადგილსა და სახელის შესახებ, გამოცემის წელის, ფასის, საავტორო უფლების შესახებ. („უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიმდინარე ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში ამგვარი ინფორმაცია ისეთი სახით არის წარმოდგენილი, რომ ძნელია მას მიაგნო) (ბ. ბელი, 2001წ.). საბიბლიოთეკო კატალოგებსა და ეროვნულ ბიბლიოგრაფიებს ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ არსებობს განსაზღვრული მოთხოვნები ეროვნული ბიბლიოგრაფიების მიერ თვალსაზრისით და აუცილებელია მათი შესრულება. ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიის (ENB) ინტერფეისი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის მოთხოვნებს, ესენია: კომპლექტატორები, კატალოგიზატორები, ბიბლიოგრაფები და ძირითადი მომხმარებლები; მონაცემთა ბაზების ინტერფეისი არა მარტო ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზეც უნდა იყოს წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის საძიებლებს მკითხველისთვის აუცილებლად უნდა დაერთოს „შესავალი და მითითებები მომხმარებლისათვის“, განურჩევლად იმისა, რომელ ფორმატშია წარმოდგენილი. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სავალდებულო ეგზემპლარზე, პერიოდულობაზე, გამოყენებულ ტერმინოლოგიაზე, კლასიფიკაციის სქემებზე, შემოკლებებზე და სხვ.(რეკომენდაცია 9).

ეროვნული ბიბლიოგრაფიის ჩანაწერები უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ დაშვების წერტილებით (თითოეული ელემენტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ძიება და გამოვლენა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერისა: სახელები, რუბრიკები, შიფრები და ა.შ.) განხორციელდეს ძიება და დგებოდეს საძიებლები. (მე-10 რეკომენდაცია)

ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტოებს სრული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შედგენის პასუხისმგებლობა აკისრიათ. ისინი უნდა იყენებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს და პასუხს აგებდნენ ავტორიტეტულ კონტროლზე. ქვეყნები, რომლებიც ავტორიტეტულ კონტროლს არ ახორციელებენ, ეროვნული ბიბლიოგრაფიის საძიებლის შესავალში უნდა მიუთითებდნენ იმ წესებზე, რითაც ისინი ხელმძღვანელობენ (რეკომენდაცია 11).

ეროვნული ბიბლიოგრაფია აშშ-ში, ევროპასა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატები. მიმდინარე ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა შეერთებულ შტატებში ჩნდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და უკავშირდება წიგნთმოვაჭრეების სახელებს.

აშშ-ს ეროვნული ბიბლიოგრაფიის საძიებლების ფორმირების საქმეში პირველი ნაბიჯი იყო, 1960 წელს გამოცემული “ამერიკული წიგნის მატრიცა” (“American book publishing record”-ABPR), <http://www.bowker.com/catalog/000020.htm> რომელიც გახდა მიმდინარე ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის დასაბამი აშშ-ში. იგი მოიცავს ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას გამოცემულ წიგნებზე, მათი გაყიდვაში არსებობა - არარსებობის მიუხედავად.

ABPR-ის ყოველ გამოშვებაში წარმოდგენილია შესავალი სტატია ყოველკვირეულის სტრუქტურისა და მოცულობის დახასიათებით. ძირითად ნაწილში ბიბლიოგრაფიული აღწერილობები განლაგებულია დიუის ათწილადი კლასიფიკაციის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ მოთავსებულია საგნობრივი რუბრიკების მიხედვით თემატურ განყოფილებებში “მხატვრული ლიტერატურა”, “საყმაწვილო მხატვრული ლიტერატურა” და “მასობრივი მოხმარების წიგნი რბილ ყდაში”.

ABPR-ს ყოველი გამოცემა მოიცავს დაახლოებით 160 გვერდს. წლის ბოლოს ფირმა გამოსცემს წელიწადულს იმავე დასახელებით. ხოლო ხუთ წელიწადში ერთხელ გამოიცემა ხუთწლიანი ინფორმაცია. ფირმამ “R.R. Bowker.Co.” <http://www.bowker.com/> თავის თავზე აიღო აშშ-ს ეროვნული ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის ფუნქცია, რითიც ფირმა “H.W. Wilson Co.”-სთან <http://www.hwwilson.com/> და მის “წიგნების კუმულაციურ საძიებელთან (CBI)” კონკურენციაში გაიმარჯვა თავისი პოზიციები. <http://www.hwwilson.com/print/cbindex.cfm> .

ამრიგად, ფირმა “R.R.Bowker co.” წამოადგენს აშშ-ს მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფიული საძიებლების გამომცემელს. ასეთი ვითარება გამოწვეულია სავალდებულო ეგზემპლარის კანონის და ამასთან ერთად ეროვნული, ბიბლიოგრაფიული სააგენტოს უქონლობით. გარკვეულწილად, კანონს სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ, ცვლის კანონი საავტორო უფლებების შესახებ. 1891 წელს კონგრესის ბიბლიოთეკასთან დაარსდა საავტორო უფლებათა ბიურო, რომელიც გასცემს მოწმობებს ყველა მიღებული დოკუმენტის რეგისტრაციის შესახებ. მაგრამ, აშშ-ში დაბეჭდილი ყველა გამოცემა ვერ გადის რეგისტრაციას ამ სააგენტოში. გარდა ამისა, ბიურო გასცემს საავტორო უფლებას ზოგიერთ უცხოურ გამოცემაზე.

კონგრესის ბიბლიოთეკა იყო პირველი ბიბლიოთეკა, სადაც დაიწყო ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ავტომატიზაცია. 1969 წელს დამთავრდა MARC-ის დანერგვის ექსპერიმენტი ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკაში. MARC ფორმატის ბაზაზე შემუშავდა და იქმნება ეროვნული ვარიანტები, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა ენისა და ტრანსლიტერაციის სპეციფიკას.

1982 წელს ბიბლიოთეკამ შეწყვიტა ტრადიციული ბარათული კატალოგის წარმოება და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მთლიან დამუშავებას ავტომატიზებულ რეჟიმში ახორციელებს.

დიდი ბრიტანეთი. ინგლისის ეროვნული ბიბლიოგრაფია იწყება 1545 წელს, 1663 წელს მიღებული იყო პირველი კანონი სავალდებულო ეგზემპლარზე, 1950 წელს დაარსდა და გამოიცა “ბრიტანული ეროვნული ბიბლიოგრაფია” (British national bibliography).

ამჟამად, “ბრიტანული ეროვნული ბიბლიოგრაფია” (BNB) გამოიცემა ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სამსახურის მიერ. ყოველკვირეულ გამოცემებში აისახება წიგნები და სერიული გამოცემები. საძიებლის პირველ ნაწილში წარმოდგენილია არა მხოლოდ გამოსული, არამედ გამოსაცემი წიგნების (CIP-ის პროგრამით) ბიბლიოგრაფიული აღწერილობები. ჩანაწერები განლაგებულია დიუის ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, ხოლო ჩანაწერების ბოლოს, ფასის შემდეგ მოყვანილია CIP-ი. აღწერილობის მეორე ნაწილში ანბანზე განლაგებულია ავტორთა გვარები, სათაურები და საგნობრივი რუბრიკები. ყოველი თვის ბოლო ნომერში მოთავსებულია “Compass index”-საგნობრივი საძიებელი, რომელიც მოიცავს განვლილ პერიოდში ბიბლიოგრაფიული სააგენტოს მიერ ოფიციალურად დარეგისტრირებულ დოკუმენტებს. წლის განმავლობაში გამოიცემა სამი კუმულაციური საძიებელი, რომელთა ბოლო გამოცემა არის წლიური. 1971 წლიდან ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოგრაფია მთლიანად ავტომატიზებულია, ხოლო მისი ინფორმაცია წარმოადგენს ბრიტანეთის საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ავტომატიზებული სამსახურის საფუძველს (BLAISE). ვინაიდან, ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ფუნქცია, მსოფლიოში ინგლისურ ენაზე გამოცემული ბეჭდური პროდუქციის აღრიცხვაც არის, ამიტომ ახდენს ელექტრონული ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცვლას კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, აშშ-ს ეროვნულ ბიბლიოთეკებთან. ამის აფუძველზე გამოიცემა საძიებლები მიკროფიშებზე “წიგნები ინგლისურ ენაზე”, რომელშიც აისახება 50 ათასი ინგლისურენოვანი წიგნი.

ორ ვარიანტად არის გამოცემული ბრიტანეთის ბეჭდური წიგნების გენერალური კატალოგი 1975 წლამდე. წიგნური ვარიანტი შედგება 360 ტომისგან და შეიცავს 5,7 მლნ. ჩანაწერს, კომპიუტერული - სამ ოპტიკურ დისკს იმავე ინფორმაციით.

ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფია განთავსებულია საიტზე. ინფორმაცია ფასიანია. <http://www.bl.uk/services/bibliographic/natbib.html>

საფრანგეთი . საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში ბევრი წამოწყება იწყება ეპიტეტით - “პირველი.” საფრანგეთში იყო მიღებული პირველი კანონი სავალდებულო ეკზემპლარის შესახებ (1537), სახელმწიფო კანონის საფუძველზე პირველად მსოფლიოში გამოიცა მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფია.

მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფიის სრულყოფილად ფორმირების საქმეში, გადამწყვეტი ნაბიჯი იყო 1992 წელს მიღებული ახალი კანონი სავალდებულო ეკზემპლარის შესახებ, ხოლო 1993 წელს შესაბამისი დეკრეტის მიღება, რომლის თანახმად, “ოფიციალური მარაგი” (1812 წლიდან ყველა სავალდებულო ეკზემპლარი ამ “მარაგში” იყრიდა თავს და ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს) გადაკეთდა საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტოდ და დაექვემდებარა სამეცნიერო განვითარებისა და ქსელების სამმართველოს. “საფრანგეთის ბიბლიოგრაფია” აღარ იყო წიგნითმოვაჭრეების საკუთრება და დაერქვა „საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოგრაფია.”

გამოდის ხუთ სერიად:

- 1.წიგნები. გამოდის ყოველ 15 დღეში;
- 2.სერიული პუბლიკაციები. ყოველთვიური გამოცემა;
- 3.ოფიციალური პუბლიკაციები. გამოდის ორ თვეში ერთხელ;

4.მუსიკა. გამოდის წელიწადში სამჯერ;

5.ატლასები, სქემები, რუკები. გამოდის წელიწადში ორჯერ.

საფრანგეთში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყნებში, “საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოგრაფია”-ორ ვარიანტად გამოიცემა - ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფია განთავსებულია საიტზე. <http://bibliographienationale.bnf.fr/>

საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ორი ავტომატიზებული სისტემა მუშაობს. ერთია - ბიბლიოთეკაში დაცული ეროვნული ბეჭდური პროდუქციის საინფორმაციო ავტომატიზებული სისტემა, მეორეა - ბიბლიოთეკის საინფორმაციო მრავალფუნქციური მონაცემთა ბაზა. ორივე სისტემა დიალოგურ რეჟიმში მუშაობს. ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის კომპიუტერზე ჩასაწერად გამოყენებულია MARC ფორმატი, რომლის საფუძველზე შექმნილია ეროვნული ფორმატი - MONOCLE.

გერმანია. გერმანიის ეროვნული ბიბლიოგრაფიის მთელი ისტორია დაკავშირებულია წიგნითვაჭრობის საქმესთან. პირველი ბიბლიოგრაფიული სამიებლები იყო “ბაზრობების კატალოგები,” რომლებიც პერიოდულად გამოდიოდა და ჰქონდა ფართო საერთაშორისო მნიშვნელობა.

მნიშვნელოვანი ეტაპი, ეროვნული ბიბლიოგრაფიის განვითარების საქმეში, გახდა საბირჟო კავშირის, საქსონიის სამეფოს მთავრობის და ლეიპციგის ქალაქის თვითმმართველობის მიერ 1912 წელს გერმანული ბიბლიოთეკის დაარსება (Deutsche Bucherei). ბიბლიოთეკის მიზანი იყო გერმანიაში გერმანულ და სხვა ენებზე გამოცემული უკლებლივ მთელი პროდუქციის, ასევე, ქვეყნის გარეთ გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნების დაფიქსირება, შეგროვება და შენახვა.

1991 წლიდან გამოიცემა ერთიანი ბიბლიოგრაფიული სამიებელი ”გერმანული ეროვნული ბიბლიოგრაფია”.

დოკუმენტების შერჩევის პრინციპად რჩება ენობრივი მიდგომა, რაზეც მიუთითებს ქვესათაური “გერმანული ეროვნული ბიბლიოგრაფია და გერმანულენოვანი პუბლიკაციები, გამოცემული საზღვარგარეთ”.

ავტომატიზებულ სისტემად შექმნილია საკუთარი ეროვნული კომუნიკატორული ფორმატი MABI. ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფია განთავსებულია საიტზე <http://www.ddb.de/eng/sammlungen/index.htm>

საქართველო

ქართულ ბიბლიოგრაფიას, წიგნების ნუსხების და რეესტრების შედგენას, მათ აღწერას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. საქართველოს ისტორიის დიდი მკვლევარი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, აღნიშნავდა, რომ ბიბლიოგრაფიას ადგენდნენ X-XII საუკუნეებში და, რომ ძველ საქართველოში წარმოებდა ბიბლიოგრაფიული მუშაობა, რაც გამოიხატებოდა საქართველოში ან მის გარეთ, წიგნსაცავებში დაცულ ქართული წიგნების აღნუსხვაში და სიების შედგენაში. მაგ. X საუკუნის სინას მთის ქართველ მოღვაწეთა წიგნსაცავის კატალოგი საშუალებას აძლევს მკვლევარს დაინახოს თუ რას წარმოადგენდა იმდროინდელი ქართული მწერლობა.

ქართული წიგნის გამოცემა, მისი ბიბლიოგრაფია, ან ხელნაწერი წიგნების გადაწერა-დაცვა საქველმოქმედო წესით კეთდებოდა. მეფეები, სამღვდლოება, მკვლევარები, მწერლები და მწიგნობრები პოულობდნენ დროსა და საშუალებებს

გაემართათ სტამბები, გამოეცათ წიგნები, მოეწყოთ ხელნაწერების გადაწერა, შეედგინათ კატალოგ-რეესტრები და სხვ.

ილია ჭავჭავაძე ასე მიმართავდა ბერმონაზვნებს: “ჩვენი ბერმონაზვნები და სმღვდელთა, რომელთაც აბარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა, დიდს ვალს დასდებენ ჩვენს ქვეყანას, რომ ამ საჭიროებას ყურადღება მიაქციონ; რაც მათადმი მინდობილს სალაროში წიგნებია, იმის სია, ანუ კატალოგი შეადგინონ... და რომელიმე გაზეთში დაბეჭდონ გამოსაქვეყნებლად. გვერწმუნეთ, რომ ეს დიდი სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევინ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც: ამ სიების შემდგენელთა სახელი ყოველთვის მაღლობით მოიხსენიება შთამომავლობის მიერ“ (ი.ჭავჭავაძე თხზ.ტ.2 თბ.1941.გვ.505).

ი.ჭავჭავაძის, ი.გოგებაშვილის და სხვათა .ინიციატივით 1879წ. შექმნილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თბილისში აარსებს წიგნსაცავს. საზოგადოება აგროვებდა და სათუთად იცავდა ხელნაწერსა და სტამბურ ქართულ წიგნს, გაზეთს, ჟურნალს, ადგენდა კატალოგებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს პერიოდულ პრესაში იწყება ბეჭდვა სიებისა და შენიშვნებისა ახლად გამოსული წიგნების შესახებ.

ქართული ჟურნალ-გაზეთების სტატიების ანალიტიკური აღწერილობის ცდა ეკუთვნის პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებს, რომლებმაც შესძლეს პროფ. ი.ყიფშიძის რედაქტორობით 1916 წელს პეტერბურგში გამოეცათ ქართულ პერიოდიკაში მოთავსებული სტატიებისა და მასალების საძიებელი. თუმცა ყველა ეს ნუსხები, სიები, რეესტრები, ბიბლიოგრაფიული განცხადებები არასრულ ცნობებს იძლეოდა ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ, ბევრი შეცდომებით გამოიცემოდა, მაგრამ მაინც ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს ქართული წიგნის ისტორიისთვის.

„ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო რეგისტრაციისა და საბიბლიოგრაფიო მუშაობის“ მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 26 აპრილის დადგენილებით დაარსებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა. დებულების შესაბამისად წიგნის პალატას ევალებოდა საქართველოს ტერიტორიაზე **გამოცემული ბეჭდვითი ნაწარმოების სავალდებულო ცალეების მიღება და ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო არქივში დაცვა;**“ აღნიშნულ ბეჭდვით ნაწარმოებთა სახელმწიფო რეგისტრაცია და მათი სიების გამოქვეყნება პალატის საბიბლიოგრაფიო ორგანოში „წიგნის მატრიანეში“ და სხვ.

ამ ეპოქამდე არ იყო არც ერთი დაწესებულება, რომელიც მიიღებდა ამა თუ იმ სტამბაში დაბეჭდილი წიგნის უფასო ან ფასიან სავალდებულო ცალეებს. ქართული სტამბური წიგნის კატალოგის შედგენისას ქრისტეფორე რაჭველიშვილს და სხვებს მოუხდათ არქივების, სიების, გეგმების, სტამბების ანგარიშებისა და სხვა მრავალი წყაროს გაჩხრეკა. (ქრისტეფორე რაჭველიშვილი, „ქართული სტამბის წიგნი“,1918).

სტამბური წიგნის თავმოყრაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადებას, რომლის დაუზოგავი ენერგიით და შრომით შეგროვილი მდიდარი კოლექცია - წიგნადი ფონდი ერთხანს ინახებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო 1937 წლიდან გადაეცა კ.მარქსის სახ. საქ. სახ. ბიბლიოთეკას. „თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მივუდგებით, გვწამს რომ ათასჯერ აჯობებდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული საცენზურო კომიტეტის კოლექცია, აგრეთვე კარლ მარქსის სახ. საქართველოს სახ. ბიბლიოთეკის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი გადაეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო

წიგნის პალატას, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო არქივში დასაცავად - წერდა 1960 წელს წიგნის პალატის დირექტორი ვ გოგოლაძე, და აქვე დასძენდა - „ეს მით უფრო აუცილებელია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ფონდი განკუთვნილი არ არის საჯარო სარგებლობისთვის, არამედ წარმოადგენს ქართული კულტურის ისტორიის ძეგლსაცავს (სამუზეუმო ექსპონატებს), რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ განსაკუთრებულ შემთხვევაში ცალკეულ მკვლევარებს, ეს კი იმის გარანტიას იძლევა რომ ეს შესანიშნავი ძეგლი, ბეჭდვითი სიტყვის ფონდი, დავიცვათ სამუდამოდ.“

1925 წელს უფასო სავალდებულო ცალების რაოდენობა შეადგენდა 30 ცალს, 1929 – 35 ცალს, 1934 – 45 ცალს. 1940 – 5 ცალს, რომლითაც კომპლექტდებოდა წიგნის პალატის ხელუხლებელი ფონდი, კ. მარქსის სახ. საქართველოს სახ. ბიბლიოთეკა, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საქ. მეცნიერებათა აკად. ბიბ-კა, ქუთაისის საჯარო ბიბ-კა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გამომცემლობები ვალდებულნი იყვნენ ყოველი თვის 5 რიცხვისთვის გაეგზავნათ წიგნის პალატისთვის მათ მიერ გასულ თვეში გამოცემული წიგნების სრული ანგარიში, ან ოფიციალური დასტური, რომ ამა და ამ თვეში მათ არ გამოუციათ წიგნები. ამით პალატა კონტროლს უწევდა პოლიგრაფიულ წარმოებას. „მთავრობის დადგენილების შეუსრულებლობა, ე.ი. დადგენილ წესითა და რაოდენობით უფასო სავალდებულო ცალების გაუგზავნებლობა, ან დაგვიანებით გაგზავნა, წიგნზე საგამომცემლო ცნობების სათანადო ადგილზე მიუცემლობა (ამ ცნობების გარეშე გამოცემა), ან საგამომცემლო სიების თავის დროზე გამოუგზავნელობა იწვევს ხელმძღვანელის სისხლის სამარლის წესით პასუხისგებაში მიცემას.“ მთავრობა ავალეზდა წიგნის პალატას დაესაჯა ყველა, ვინც უფასო სავალდებულო ცალების, საგამომცემლო სიების გაგზავნაში ან კიდევ წიგნზე საგამომცემლო ცნობების ჩაბეჭდვაში გამოიჩინდა დაუდევრობას.

წიგნის პალატა 1926 წლიდან გამოსცემდა წიგნის მატთანეს, ასევე ჟურნალების სტატიების მატთანეს, გაზეთების სტატიების მატთანეს, ნოტების მატთანეს, აწარმოებდა რეტროსპექტული და პერსონალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომების მომზადებას და გამოცემას. გამოსცა „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის მრავალტომეულის 3 ტომი, გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკა 1819-1945, ზერცალოვის “Библиография русской периодики Грузии ч.1 1828-1920,“ ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, დ. გურამიშვილის, ალ. ყაზბეგის და სხვ. ბიობიბლიოგრაფიები და სხვა საინტერესო ბიბლიოგრაფიული ნაშრომები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის დადგენილებით წიგნის პალატას ეწოდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა, ხოლო ბოლოს იგი იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება“ წიგნის პალატა“. იგი წარმოადგენდა რესპუბლიკის ბეჭდვითი დოკუმენტების (წიგნები და ბროშურები, გაზეთები, ჟურნალები, გრძელდებადი გამოცემები, ნოტები, რუკები, წვრილბეჭდური მასალა და აფიშები) გამოცემების, საარქივო დაცვის, მათი სტატისტიკური აღრიცხვიანობისა და წიგნმცოდნეობის სფეროში სამეცნიერო-კვლევით ცენტრს.

90-იანი წლების დასაწყისამდე წიგნის პალატის ფონდის ახალი გამოცემების სავალდებულო ეგზემპლარებით შევსება ხდებოდა სრულად, „ბეჭდვითი პროდუქციის სავალდებულო ეგზემპლარების შესახებ“ სსრკ-ს კანონის საფუძველზე.

1991 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სავალდებულო ცალების შემოსვლა წიგნის პალატაში მიმდინარეობდა შეფერხებით.

დღეისათვის წიგნის პალატის ფონდი ინახავს და იცავს მილიონნახევარ ნაბეჭდ ერთეულს გამოცემულს არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ უცხოეთში გამოცემულ ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს და ქართველოლოგიურ ლიტერატურასაც.

2001 წლიდან წიგნის პალატაში დაიწყო კომპიუტერული საინფორმაციო ბანკის შექმნა, მზადდებოდა მონაცემთა ბაზები (ლოკალური) საერთაშორისო სტანდარტების ISBD, UNIMARC გამოყენებით. დაგეგმილი იყო მათი CD-ROM და ინტერნეტ ვერსიებიც, მაგრამ მწირი დაფინანსების გამო შეუძლებელი აღმოჩნდა ამის განხორციელება. მცირე ბიუჯეტის გამო ვერ ხერხდებოდა ხელნაწერი მატრიანების და ბიბლიოგრაფიული ნაშრომების ბეჭდური ფორმატით გამოცემა.

2006 წლის აპრილიდან წიგნის პალატა შეუერთდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და გახდა მისი სტრუქტურული ერთეული, ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტის სახით. ეროვნულ ბიბლიოთეკას წიგნის პალატის მიერთებით დაეკისრა ახალი და საკმაოდ საპასუხისმგებლო ფუნქცია - საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება, დაცვა და გავრცელება.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტში უკვე გადადგმულია:

1. დაიწყო მიმდინარე წიგნის მატრიანის ნაბეჭდი ფორმატით გამოცემის მომზადება.

2. დაინერგა და დაიწყო ეროვნულ ბიბლიოთეკის CDS/ISIS სტრუქტურის მონაცემთა ბაზების წარმოება:

- მიმდინარე ჟუნალების ანალიტიკური აღწერილობა (JMAT). (მოიცავს საქართველოში გამოცემული 131 დასახელების ჟურნალის სტატიების ანალიტიკას)
- მიმდინარე გაზეთების ანალიტიკური აღწერილობა (GMAT). (მოიცავს საქართველოში გამოცემული 31 დასახელების გაზეთის სტატიების ანალიტიკას)

ორივე ბაზა განთავსებულია ინტერნეტში და ინტერნეტ-მომხმარებელს უკვე შეუძლია მისი გამოყენება. ბაზები მომზადებულია ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის კურატორობით.

საქართველოში პირველი ბიბლიოგრაფიული ელექტრონული ჩანაწერი შეიქმნა 1990 წელს. ამ წელს ეროვნული ბიბლიოთეკის ვტომეტიზაციის განყოფილებამ ბიბლიოთეკის ხელუხლებელ ფონდში შემოსული ქართული წიგნების და ავტორეფერატების ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზის წარმოება დაიწყო. 1992 წლიდან მიმდინარეობს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ანალიტიკურ მონაცემთა ბაზის შევსება. 2001 წელს მოხდა მონაცემთა ბაზების გაერთიანება, კორექტურა და ბიბლიოთეკის შესაბამის განგანყოფილებებში მისი გადაცემა.

ამჟამად, ეროვნული ბიბლიოთეკა აწარმოებს ელექტრონული სახით ქართული წიგნის ელექტრონულ კატალოგს, ავტორეფერატების, დისერტაციების კატალოგს, პლაკატების, ესტამპების და ფურცლოვანი გამოცემების, სანოტო გამოცემების, კომპაქტ-დისკების კატალოგს, ანალიტიკური აღწერილობის მონაცემთა ბაზებს და

სხვ. რომელებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის მომხმარებლითვის. ელექტრონული კატალოგები განთავსებულია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ საიტზე <http://www.nplg.gov.ge/ec/changedb.php?lang=ge&refurl=%2Fec%2Fsearch.php>.

მაგრამ ეს ელექტრონული კატალოგები ვერ ჩაითვლება საქართველოს ელექტრონულ ეროვნულ ბიბლიოგრაფიად, ვინაიდან ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს - არ არის გათვალისწინებული ის რეკომენდაციები, რომლებსაც ამ მიმართულებით ავრცელებს საერთაშორისო ორგანიზაციები.

და მაინც როგორი უნდა იყოს მომავალში საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფია?

- როდის და როგორი იქნება კანონი სავალდებულო უფასო ეგზემპლარის შესახებ?
- ეროვნული ბიბლიოგრაფიის რომელი ფორმატი (თუ ფორმატები) უფრო მისაღებია საქართველოსთვის?
- როდის დასრულდება საერთაშორისო სტანდარტების (UDC, ISBN, MARC, DDC) შესაბამისობა ქართულთან და ქართული ეროვნული სტანდარტების დამტკიცება?

ეს არის ის ძირითადი კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემა მოუწევს ქართულ ეროვნულ ბიბლიოგრაფიაზე მომუშავე სპეციალისტებს.

იმედია საქართველოში ეროვნული ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა, არა მარტო აღიარებული იქნება, არამედ ახალი ეროვნული ბიბლიოგრაფიები მიიღებენ უფრო მეტ მხარდაჭერას მომხმარებლების მხრიდან და ინტერესი მათ მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება.

ლიტერატურა:

1. Bell, B.L. (1998) An Annotated Guide to Current National Bibliographies. 2nd completely revised ed., Muenchen: Saur.
2. Белл Б. Национальные библиографии и рекомендации международной конференции по библиографическим службам: Африка, Ближний Восток, Азия // 67th IFLA Council and General Conference August 16-25, 2001. <http://www.ifla.org/IV/ifla67/papers/120-199r.pdf>
3. Заключительные рекомендации Международной Конференции по Национальным Библиографическим службам ICNBS Copenhagen, 25-27 november, 1998 IFLA *The final recommendations of the International Conference on National Bibliographic Services*. 2002. <http://www.ifla.org/VI/3/icnbs/fina.htm> (17. 4. 2003) Functional requirements for bibliographic records: final report. 1998. München: Saur.
4. Грузинова Л.Б. Иностранная библиография: Учебное пособие, 1997.
5. ვასილ გოგოლაძე. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა, თბ. 1960.
6. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო წიგნის პალატა <http://www.bookchamber.org.ge/georgian.html>

ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფია ეროპის ქვეყნების ეროვნული ბიბლიოგრაფია ინტერნეტში

ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება (ENB - Electronic National Bibliography) (ონ-ლაინ და CD-ROM) 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. პირველი სახელმძღვანელოები ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიებისთვის (ENB) შემუშავდა 1993 წელს. ეროვნული პროექტის „ეროვნული ბიბლიოთეკები CD-ROM-ზე“ რეალიზაციის პროცესში. კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებამ, ეს სახელმძღვანელოები მოაძველა, თუმცა გარკვეულწილად აქტუალობა მაინც შეუწარმუნდათ.

დღეს უკვე აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიებისთვის (ENB) ახალი რეკომენდაციების შესამუშავებლად.

1. რა არის ეროვნული ბიბლიოგრაფია?

„მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს ყველა წიგნის, ბროშურის, სერიული გამოცემების, და სხვა ბეჭდური პროდუქციის სრულ სიას, რომელიც გამოიცემა მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე განსაზღვრულ პერიოდში: წლის განმავლობაში ან უფრო ხშირად“ (Conover, 1955). 50 წლის წინანდელი ეს განმარტება აღარ შეესაბამება დღევანდელ რეალობას, იმ ცვლილებების გამო, რომელიც შეეხო გამოცემის პროცესსა და ასევე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მოხმარების სპეციფიკას. „მიმდინარე ეროვნული ბიბლიოგრაფია, სიტყვის თანამედროვე გაგებით, უნდა განისაზღვროს, როგორც ავტორიტეტული და ბეჭდვითი სიტყვის (ეროვნული საგამომცემლო პროდუქციის) სრული ჩანაწერების კუმულაცია, რომელიც რეგულარულად გამოიცემა და სასურველია შეფერხების გარეშე“ (Zumer, 2005). ეროვნული ბიბლიოგრაფიას აწარმოებენ ძირითადად ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. უფრო დაწვრილებით გამოიკვლევა და მოწმდება ავტორობა და ცნობები გამოცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის განსაზღვრება ერთი შეხედვით გასაგებია, თუმცა ბევრი კითხვა უპასუხოდ არის დარჩენილი;

- რა არის ეროვნული ბეჭდვითი სიტყვა (ანუ ეროვნული საგამომცემლო პროდუქცია)?
- რა წარმოადგენს მის საზღვრებს?
- რომელი სტანდარტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ?
- რას ნიშნავს შეფერხება ეროვნული ბიბლიოგრაფიის გამოცემაში?
- ეროვნული ბიბლიოგრაფიის რომელი ფორმატია ყველაზე მისაღები?

2. რაში მდგომარეობს ეროვნული ბიბლიოგრაფიის მისია?

სრული და დროული ეროვნული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო რესურსს, იმისათვის, რომ მისი საშუალებით:

- შეირჩეს პროდუქცია, რითაც დაკომპლექტდება ბიბლიოთეკები და მსგავსი დაწესებულებები;
- ჩატარდეს კატალოგიზაცია (როგორც ჩანაწერების კოპირების მიზნით, ასევე ცნობების მოსაპოვებლად);
- შემოწმდეს ავტორობა და პუბლიკაციის ისტორია.

„ტრადიციულად, ეროვნული ბიბლიოგრაფიის სამსახურების წინაშე იდგა სამი ძირითადი ამოცანა. პირველი - ბიბლიოთეკების რენტაბელური კატალოგიზაცია; მეორე - ბიბლიოთეკებისათვის პროდუქციის შერჩევისა და დაკომპლექტების

პროცესის გაადვილება; მესამე - საინფორმაციო ძიების ჩატარება თვით დოკუმენტის მისაწოდებლად. დღევანდელი შეცვლილი გარემოს მიუხედავად ეს ამოცანები აქტუალური და რეალიზებადია დღესაც” (Vitello, 1998). ეროვნული ბიბლიოგრაფიები გამოიყენებულ უნდა იქნას არა მხოლოდ ბიბლიოთეკებში, საგამომცემლო საქმესა და წიგნით ვაჭრობაში, არამედ:

- მათ საფუძველზე უნდა კეთდებოდეს ქვეყნის ბეჭდური პროდუქციის სტატისტიკური ანალიზი;
- უნდა იგებოდეს სამთავრობო პოლიტიკა განათლების, ენის, ეკონომიკური პროგრამების და სხვა საკითხებზე;
- უნდა ხდებოდეს ქვეყანაში წარმოებული აუცილებელი გამოცემების მოცულობის გამოთვლა (Guidelines, 1997).

ამიტომ, ეროვნული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს როგორც ფონდის შერჩევისა და დაკომპლექტებისთვის, აგრეთვე აქედან გამომდინარე, საგამომცემლო საქმის განვითარებისთვისაც. ამ ფუნქციების რეალიზების შემდეგ:

- მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გამოცემისთანავე, სასურველია გამოცემამდეც;
- შერჩევისას მნიშვნელოვანია ცნობები თემატიკაზე, აგრეთვე მონაცემები ფასის შესახებ, დაკომპლექტებისთვის კი - მონაცემები გამომცემლის და დისტრიბიუტორის, გაყიდვის პირობების შესახებ და რა თქმა უნდა ISBN, ISSN.
- ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ფორმატი შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს ადვილად მოხდეს ჩანაწერების იმპორტირება ლოკალურ საინფორმაციო სისტემაში ან კატალოგში.

მოთხოვნები, წარდგენილი ეროვნული ბიბლიოგრაფიისადმი კატალოგიზაციის საკითხებში შემდეგია:

- ჩანაწერების მაღალი ხარისხი და სისრულე;
- მომცველობის სისრულე;
- ახალი ჩანაწერებისადმი დროული ხელმისაწვდომობა;
- ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- რეტროსპექტული და მიმდინარე ბიბლიოგრაფიების მემკვიდრეობითობა;
- ლოკალურ კატალოგებში ჩანაწერების კოპირების სიმარტივე.

ეროვნული ბიბლიოგრაფია, როგორც ინფორმაციული რესურსი უნდა მოიცავდეს:

- რთულ ძიებას და მრავალბითი დაშვების წერტილებს;
- კავშირებს ლოკალურ კატალოგებთან ან სრულ ტექსტებთან (Lewis, 1991).

ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში აისახება, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ინტერესები. დღეს, უკვე ახალ პირობებში მიმდინარეობს მსჯელობა ეროვნული ბიბლიოგრაფიის მისიაზე. სხვა სირთულეებთან ერთად, ეროვნული ბიბლიოთეკები იძულებული არიან დამოუკიდებლად განახორციელონ ეროვნული ბიბლიოგრაფიის ტექნოლოგიური სიახლენი, მათზე ორიენტირებული მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებითა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

3. ვინ არიან მომხმარებლები?

ბიბლიოთეკებში მომხმარებლების შესახებ არ გააჩნიათ საკმარისი ცნობები. ზოგ ქვეყანაში იკვლევენ ეროვნული ბიბლიოგრაფიის მომხმარებლებსა და მათ შევითხვებ. გარდა არსებული მომხმარებლისა საყურადღებოა პოტენციური მომხმარებლის გათვალისწინებაც.

არსებული და პოტენციური მომხმარებლების შემადგენლობა:

- **ბიბლიოთეკარები:** კატალოგიზატორები, კომპლექტატორები, ფონდის მუშაკები, ბიბლიოგრაფები;
- **საბოლოო მომხმარებლები:**
ეს არაერთგვაროვანი ჯგუფია, დაწყებული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებიდან, დამთავრებული მომხმარებლებით, რომლებსაც ონ-ლაინ დაშვება აქვთ ეროვნულ ბიბლიოგრაფიასთან. ამ კატეგორიაში შედიან ფორმალური და არაფორმალური ჯგუფები, კორპორაციული ორგანიზაციები. სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული მოდელები ბევრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: მაგ. დიდ ბრიტანეთში, ეროვნული ბიბლიოგრაფია კომერციული პროდუქტია და ძირითად მოსახლეობას არა აქვს თავისუფალი შეხება. სკანდინავიის ქვეყნებში კი, პირიქით, ეროვნული ბიბლიოგრაფია ფართოდ გამოიყენება, როგორც დამატება შეერთებულ კატალოგებზე, მაგრამ მიუხედავად სხვადასხვა მოდელისა, ეროვნულ ბიბლიოგრაფიას დიდი პოტენციალი გააჩნია საზოგადოებრივი გამოყენების თვალსაზრისით.
- **წიგნით ვაჭრობა:** *გამომცემლები:* კომერციული და არაკომერციული სექტორები, აგრეთვე სამთავრობო და ოფიციალური გამომცემლები იყენებენ ეროვნულ ბიბლიოგრაფიას ბაზრის ანალიზისა და კონკურენტუნარიანობის დასადგენად; *წიგნით მოვაჭრენი:* ამ ჯგუფის მოთხოვნები ემთხვევა ფონდის მუშაკების, კომპლექტატორების და ბიბლიოგრაფების ფუნქციებსაც, როდესაც ისინი ბუკინისტური გამოცემების შესახებ ასრულებენ კლიენტების დაკვეთებს.
- **სააგენტოები:** *საფინანსო ორგანიზაციებისათვის* ეროვნული ბიბლიოგრაფია არსებულსა და შემდგომი დაფინანსების დაგეგმვის დროს ზეწოლის საშუალებაა; *ოფიციალური სტატისტიკის სააგენტო* ეროვნულ ბიბლიოგრაფიას იყენებს ქვეყნის ბეჭდური პროდუქციის სტატისტიკური ანალიზისთვის.
- **საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაციები.** ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში არსებული ავტორიტეტული კონტროლის, ავტორიტეტული ჩანაწერების მაღალხარისხოვანი მონაცემები ავტორების შესახებ, საშუალებას იძლევა განახორციელოს საზოგადოების ინტელექტუალური უფლებების მართვა.
- **სხვანი:** სხვა მომხმარებლებში შეიძლება შევიდნენ ჟურნალისტები, რომლებიც პუბლიკაციების იდენტიფიცირებას აკეთებენ, წიგნის ბაზრობის ორგანიზატორები, მთარგმნელები და სხვ.

და ბოლოს, მომხმარებელი „ადამიანის“ გარდა ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიის „მომხმარებელი“ არის კომპიუტერული პროგრამები, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ეროვნული ბიბლიოგრაფიის ჩანაწერებთან. ეს პროგრამები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოძიებასა და მოგროვებას. ამიტომ ეროვნული

ბიბლიოგრაფიის ონ-ლაინ რეჟიმში დაგეგმვისას უნდა გათვალისწინებულ იყოს მათი ტექნიკური მოთხოვნებიც.

არსებული და პოტენციური მომხმარებლების განსაზღვრის შემდეგ უნდა მოხდეს ანალიზი იმისა, რომ ამ მომხმარებლებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნილებები და ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას მოელიან ეროვნული ბიბლიოგრაფიის დახმარებით: მონაცემთა ძირითადი ელემენტები, ძიების კრიტერიუმები განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგ.: საგამომცემლო სექტორის საერთო ანალიზისთვის და ოფიციალური სტატისტიკისთვის *ძიება*:

- გამოცემის ენა,
- ორიგინალის ენა
- გამომცემელი ქვეყანა
- საკლასიფიკაციო კოდი
- გამოცემის წელი
- პოტენციური კლიენტები (მკითხველის კატეგორია)

აუცილებელი მონაცემები: ძირითადი საგამომცემლო მონაცემები.

ყველა კომპიუტერული პროგრამის მიზანია, იმ აუდიტორიის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომლისთვისაც ის არის განკუთვნილი. ფუნქციების სიმრავლე და სირთულე მოუხერხებელს ქმნის სისტემასთან მუშაობას. ამიტომ, აუცილებელია მომხმარებლის მოთხოვნების ზედმიწევნით შესწავლა და მათთვის მხოლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციების ჩართვა სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ საბიბლიოთეკო კატალოგებსა და ეროვნულ ბიბლიოგრაფიებს ბევრი რამ აქვთ საერთო, აუცილებელია აღინიშნოს მათ შორის არსებული განსხვავებები. არსებობს განსაზღვრული მოთხოვნები ეროვნული ბიბლიოგრაფიების ძიებასა და მათი შესრულების აუცილებელობაში.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის სამსახურების საერთაშორისო კონფერენციის <http://www.ifla.org/VI/3/icnbs/icnbs.htm> (ICNBS) დასკვნით რეკომენდაციებში (Copenhagen,1998), დადასტურებულია ეროვნული ბიბლიოგრაფიების სხვადასხვა ფორმატით გავრცელების შესაძლებლობა: “ვინაიდან მხედველობაშია მისაღები არსებული ფორმატების მრავალფეროვნება, რომლებშიც ვრცელდება ეროვნული ბიბლიოგრაფიები, ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა მომხმარებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უნდა გამოიყენონ ერთი ან მეტი არსებული ფორმატი” (რეკომენდაცია 6). სპეციალურად ელექტრონულ ვერსიაზე არსად არ არის ლაპარაკი. მაგრამ მე-10 რეკომენდაციაში ნათქვამია: “ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში ჩართული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, შედგენილი უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და შესაბამისად განლაგებული ისე, რომ დაშვების წერტილები აკმაყოფილებდეს მომხმარებლის მოთხოვნებს იმ ფორმატის (ფორმატების) პარამეტრების შესაბამისად, რომელიც გადანაწილებისთვის გამოიყენება”.

ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფია სტაბილურად ვითარდება და მისი პოზიციებიც ძლიერდება. ბევრმა სააგენტომ უკვე დაიწყო მისი გამოცემა: ონ-ლაინი, CD-ROM, და სხვ. სულ უფრო პოპულარული ხდება ინტერნეტ-ვერსიები.

მსოფლიოს 52 ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთდა მიმდინარე მოვლენების ანალიზი და გაირკვა მომავლის გეგმები. ასეთივე სახის გამოკვლევა ჩატარდა 1996 წელს.

2001 წელს უნი კნუტსენის (ნორვეგია) გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეროვნული ბიბლიოგრაფიის რეალიზაციის ძირითადი ფორმატი რჩება ნაბეჭდის სახით. ამ ფორმატს ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტოების 75% უჭერდა მხარს. 1996 წლიდან 2001 წ-მდე იგი 15%-ით შემცირდა. CD-ROM ასევე სტაბილურად ინარჩუნებდა პოპულარობას სხვა ელექტრონული ფორმატები, ისეთები, როგორცაა მიკროფიშები, კომპიუტერული ლენტები, რბილი დისკები და სხვ. რაოდენობრივად სულ უფრო კლებულობდა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტოების უმეტესობა თავის ეროვნულ ბიბლიოგრაფიას ავრცელებდა სხვადასხვა ფორმატში და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი ფორმატით.

ფორმატებში ცვლილება 2002-2006 წწ.

ფორმატი	2001 წ. გამოკვლევა	2001-2006წ. გეგმა
ნაბეჭდი	39	37
CD-ROM	19	32
ქსელური (არა ინტერნეტი)	17	26
ინტერნეტი	23	38

2001-2006 წლებში 52-დან 14-ზე მეტი ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტო გამოსცემდა ეროვნულ ბიბლიოგრაფიას მხოლოდ ნაბეჭდი სახით. 6 ქვეყანა იწყებდა ინტერნეტ ვერსიის წარმოებას, მაგრამ არც ერთი სააგენტო არ აპირებდა, რომ ინტერნეტი ყოფილიყო მისი ერთადერთი ფორმატი.

ცხადია, რომ ნაბეჭდი სახით ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოების ტრადიცია გაგრძელდება. ნაბეჭდი ფორმა აკმაყოფილებს საარქივო დაცვის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაფიქსირებულია ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოების საერთაშორისო კონფერენციის (ICNBS) დასკვნით რეკომენდაციებში. როდესაც კომპიუტერები და კომპიუტერული ქსელები საკმარისი არ არის, ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნაბეჭდი ფორმატით გავრცელება უდავოდ მოხერხებული ფორმაა.

მე-6 რეკომენდაციაში ნათქვამია არსებული ფორმატების მრავალფეროვნებაზე. სპეციალურად არის აღნიშნული, რომ „უკიდურეს შემთხვევაში ეროვნული ბიბლიოგრაფიის ერთი-ერთი ფორმატი მაინც უნდა აკმაყოფილებდეს საარქივო შენახვის და დაცვის პირობებს და უნდა იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი.“ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ნაბეჭდი ფორმატი ინარჩუნებს თავის პოპულარობას, არსებობს საშიშროება იმისა, რომ დროთა განმავლობაში ინფორმაცია ელექტრონულ ვერსიებზე შეიძლება გაქრეს. ამიტომ ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიის შესანახად უნდა კეთდებოდეს ასლები და სააგენტოებმა უნდა შეისწავლონ მათი გრძელვადიანი შენახვის შესაძლებლობები.

CD-ROM ფორმატის ძლიერი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მომხმარებლისთვის მოხერხებულია და მრავალი დაშვების წერტილი აქვს. მონაცემთა ჩამოტვირთვა მარტივია. ნაბეჭდ და CD-ROM ფორმატებს პოპულარობას მატებს ის ფაქტი, რომ ისინი ერთგვარი შემოსავალის წყაროსაც წარმოადგენენ.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის დროული და ეფექტური გავრცელება ყველაზე კარგად მიიღწევა მონაცემთა ბაზებთან ქსელურ/ინტერნეტ დაშვებით, რომლებიც რეგულარულად ივსება ახალი ჩანაწერებით. მისი ინტერფეისი მომხმარებლისთვის

მოხერხებულია, მრავალი დაშვების წერტილი აქვს და განსაზღვრულ მომხმარებელთა ჯგუფის სპეციფიკურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ინტერნეტი ჩანაწერების გაცვლით უნივერსალურ ბიბლიოგრაფიულ აღრიცხვასთან (USB) დაახლოების საშუალებას იძლევა.

მაგრამ ეროვნული ბიბლიოგრაფიის სააგენტოები, სამსახურები მონაცემების ადვილად ჩამოტვირთვის და სხვა სააგენტოების მიერ მრავალჯერადი გამოყენების გარანტიებს უნდა იძლეოდნენ. რამდენიმე წელიწადში ალბათ CD-ROM ფორმატი აღარ იარსებებს და ეროვნული ბიბლიოგრაფიის ძირითადი ფორმატი იქნება ინტერნეტი (კნუტსენი, 2003).

ევროპის ქვეყნების ეროვნული ბიბლიოგრაფია ინტერნეტში

როგორ უნდა უზრუნველყოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის გავრცელება ეროვნული ბიბლიოგრაფიის მწარმოებელმა ორგანიზაციამ?

ინტერნეტში ცალკე ვებ გვერდები ეროვნულ ბიბლიოგრაფიაზე მცირე რაოდენობისაა. ხშირად მათზე გასვლა შესაძლებელია კატალოგებიდან და მონაცემთა ბაზებიდან. მაგრამ ზოგჯერ ძნელია მიხვდე შეიცავს თუ არა აღნიშნული ბაზა ეროვნული ბიბლიოგრაფიის ჩანაწერს. ეროვნული ბიბლიოგრაფიის მწარმოებლები დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ საკუთარ მონაცემთა ბაზის წარმოჩენას. რამოდენიმე ქვეყანაში ჩანაწერები შეერთებული კატალოგის ნაწილს წარმოადგენს.

ინტერფეისი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის მოთხოვნებს, ესენია: კომპლექტატორები, კატალოგიზატორები, ბიბლიოგრაფები (the reference librarian) და საბოლოო მომხმარებლები. ბიბლიოგრაფები ეროვნულ ბიბლიოგრაფიას იყენებენ დაკომპლექტების უმთავრეს საშუალებად, პროფესიონალი მომხმარებლები მიმართავენ მას, როდესაც აინტერესებთ ინფორმაცია ახალ გამოცემებზე. ამიტომ ზოგიერთი სააგენტო თავის საიტზე განათავსებს ახალი გამოცემების სიებს. მაგ.: ორ კვირაში ერთხელ ახალი გამოცემების სიის ნახვა შეიძლება ნორვეგიის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე: <http://nabo.nb.no/nyhetsliste/> ბელგიის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე ეს მონაცემები ყოველთვიურად ახლდება: <http://www.kbr.be/bb/fr/Bbstr1.htm>.

ეროვნული ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზების ინტერფეისი არის არა მარტო ეროვნულ ენაზე, არამედ ინგლისურ ენაზეც, რათა გარე სამყაროს ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთან მიმართვის საშუალება მიეცეს.

ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტიდან <http://www.nkp.cz/en/index.php3> შესაძლებელია გასვლა ჩეხეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიაზე 2001 წლამდე. ეროვნული ბიბლიოგრაფიის ინტერფეისი განსხვავებულია ელ.კატალოგების ინტერფეისისაგან. ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში გათვალისწინებულია თემატური ძიება წიგნებში, პერიოდიკაში, ბოჭემიკაში ცალკე-ცალკე და ა.შ.

<http://aip.nkp.cz/engine/webtor.cgi?MainPage=%2E%2E/cnb en/cnben main%2Ehtm>

ჩეხეთის კატალოგები და მონაცემთა ბაზები: <http://sigma.nkp.cz/F> ; სადაც ეროვნული ბიბლიოგრაფია ცალკეა გამოტანილი. თუ ჩავატარებთ ძიებას ორიგინალური ენის კოდით (Original language code) და მივუთითებთ საკვანძო სიტყვას geo-ს ელექტრონულ კატალოგში NKC მოიძებნება 296 წიგნი, (დოკუმენტის ენის კოდით (Document language code) – geo 89 წიგნი), ხოლო თუ ეროვნული ბიბლიოგრაფიის ბაზაში CNB ჩავატარებთ ძიებას - ორიგინალური ენის კოდით 57 წიგნი, ხოლო

დოკუმენტის ენის კოდით 1 ქართული წიგნი მოიძებნება. რაც იმაზე მიუთითებს, 295-დან 57 წიგნი ჩეხეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნაწილია. იყენებენ ALEPH.

ბულგარეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არის ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცენტრი. http://www.nationallibrary.bg/press_en.html . აქვთ შეერთებული კატალოგი 1984 წლიდან: ანალიტიკური სტატიები, წიგნები, ჟურნალები, იყენებენ საერთაშორისო სტანდარტებს ISBD, UDC.

უნგრეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2003 წ.დან გამოდის ეროვნული ბიბლიოგრაფიის სახელით წიგნების ბიბლიოგრაფია და არის ელექტრონული და pdf ფორმატი 2006 წ. ნოემბრის თვეც ხელმისაწვდომია ინტერნეტ-მომხმარებლისთვის http://www.oszk.hu/mnb/mnbkb_pdf/index-en.php არის პერიოდიკა, CD-ROM.

ლატვიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არის ცალკე სტრუქტურული ერთეული ბიბლიოგრაფიის ინ-ტი. <http://www.lnb.lv/eng/index.php> ლატვიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კატალოგები და მონაცემთა ბაზები ALEPH-500-ზეა აწყობილი. <http://195.13.129.13:8080/ALEPH//con-lng/eng-el.katalogi> ცალკე გამოტანილია ელ. კატალოგი. ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფია შედგება: http://www.lnb.lv/eng/db/nat_bibl.htm 1. მონოგრაფიების და სერიული გამოცემებისგან, 2. ანალიტიკური მონაცემთა ბაზებისგან: გაზეთები, ჟურნალები, დოკუმენტები. 2005 წლიდან გაზეთების ბაზა სრულტექსტოვანია.

გამოყენებულია საერთაშორისო სტანდარტები MARC 21, კატალოგიზაციის ანგლო-ამერიკულ სისტემა, ISBD, UDC და კონგრესის ბიბლიოთეკის თემატურ თავსათაური.

ლიტვის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არის ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცენტრი, როგორც ცალკე სტრუქტურა.

<http://www.lnb.lt/lnb/selectPage.do?docLocator=81&inlanguage=lt&pathId=2>

ბიბლიოთეკაში ეროვნული ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბანკია ბაზა, სადაც ელ. ჩანაწერები წარმოებს 1998 წლიდან დღემდე. არის აგრეთვე 1994-2002 წლების პერიოდიკის მონაცემთა ბაზა. 2003 წლიდან კი გარძელებს ლიტვის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბანკში.

ლიტვის გაერთიანებული Libis და ონლაინ კატალოგები 1998 წლიდან. გამოსცემენ ბეჭდურ პროდუქციას მათიანეების სახით - „ბიბლიოგრაფიული სიახლეები“ : ჟურნალები, ანალიტიკა, წიგნები და იყენებენ საერთაშორისო სტანდარტებს ISBD, UDC, UNIMARC.

ესტონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცალკე დეპარტამენტი არ არის, <http://www.nlib.ee/17581> . აწარმოებს ეროვნულ ბიბლიოგრაფიის ონლაინ ბაზას ERB – ANDMEBAAS 2004 წლიდან და გამოსცემს მიმდინარე წიგნის, პერიოდიკის სიებს. ბიბლიოთეკას აქვს ელ. კატალოგი - ESTER – „ELNET კონსორციუმის „ იყენებენ საერთაშორისო სტანდარტებს ISBD, UDC, MARC.

გერმანიის ეროვნული ბიბლიოგრაფიის საიტზე განთავსებული ელ კატალოგებიდან <http://www.ddb.de/eng/sammlungen/index.htm> - გერმანულ ეროვნულ ბიბლიოგრაფიის ონლაინ კატალოგზე შეიძლება გასვლა.

http://z3950gw.dbf.ddb.de/z3950/zfo_get_file.cgi?fileName=DDB/searchForm.html

ბელგიის ეროვნული ბიბლიოგრაფიის საიტი:

http://www.kbr.be/catalogues/bibliographies/nationales/biblionat_fr.html

საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიის საიტი:

<http://bibliographie.nationale.bnf.fr/>

დიდი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოგრაფია რომელზეც დაშვება ფასიანია:

<http://www.bl.uk/services/bibliographic/natbib.html>

რუსეთში 2007 წელს ამუშავდება პროექტი „სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ინტერნეტში“ . პროექტი უზრუნველყოფს რუსეთის წიგნის პალატის მიერ მომზადებულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციასთან - წიგნები და ბროშურები, დისერტაციების ავტორეფერატები, არატექსტური გამოცემები, ჟურნალების და გაზეთების სტატიები, ონლაინ დაშვებას. პროექტში რეალიზებულია საუმაო რეჟიმი Z39.50 პროტოკოლით, ჩანაწერების ძიება თემატურად ხდება და რაც მთავარია ჩანაწერის მიღება შესაძლებელია მომხმარებლის მიერ არჩეული ფორმატით: UNIMARC, RusMARC, USMARC, MARC21. გამოყენებულია პროგრამა ИРБИС. <http://knigainfo.ru/about.aspx>

ძალიან ბევრი რამ შეიცვალა განვლილი 20 წლის განმავლობაში: გამოცემის ტიპები, საგამომცემლო პროცესი მთლიანად, აგრეთვე ეროვნული ბიბლიოგრაფიების ფორმატები: ბეჭდურიდან CD-ROM-მდე და ონ-ლაინ ვერსიებამდე. ყოველივე ეს წარმოადგენს ფუნდამენტური კვლევების ჩატარების მიზეზს, რათა ახლებურად შევხედოთ ეროვნულ ბიბლიოგრაფიას. საყურადღებოა, ეროვნულ ბიბლიოგრაფიის მასალების ტიპების შერჩევის პრინციპი, რადგან მასალის დიდი მოცულობის გამო, ყველა ვერ შევა ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში. უნდა განისაზღვროს მომხმარებლებელი და დადგინდეს მისი მოთხოვნები, ელექტრონული ეროვნული ბიბლიოგრაფიის ინტერფეისის ფუნქციური შესაძლებლობები და ძირითადი პრინციპები.

ლიტერატურა:

1. Bell, B.L. (1998) An Annotated Guide to Current National Bibliographies. 2nd completely revised ed., Muenchen: Saur.
2. Conover H. F. (1955) Current National Bibliographies, Washington: Government Printing Office. Functional Requirements for Bibliographic Records: final report (FRBR). (1998), Muencen, Saur.
3. Guidelines for the National Bibliographic Agency and the National Bibliography (1997). Paris: UNESCO.
4. Hakala, J. (2003). Future role of (electronic) national bibliographies. 69th World Library and Information Congress, Berlin, 1-9 August, 2003 (<http://www.ifla.org/IV/ifla69/papers/155e-Hakala.pdf>).
5. Lewis, PR (1991). The development of national bibliographic services. Issues and opportunities (Background paper). Workshop on National Bibliographic Services in the European Communities (Luxembourg, 12 February 1990). Report. Luxembourg: Commission of the European Communities. (EUR 13284 EN).
6. Vitiello G. (1998) "Legal deposit and national bibliographic services: developments in the framework of the cooperative perspective and the convergence phenomenon " <http://www.ifla.org/VI/3/icnbs/vitg.htm>
7. Žumer, M. (2003). Guidelines for electronic bibliographies: are they needed? 69th World Library and Information Congress, Berlin, 1-9 August, 2003 (<http://www.ifla.org/IV/ifla69/papers/108e-Zumer.pdf>
8. Белл Б. Национальные библиографии и рекомендации международной конференции по библиографическим службам: Африка, Ближний Восток, Азия

//. 67th IFLA Council and General Conference August 16-25, 2001.

<http://www.ifla.org/IV/ifla67/papers/120-199r.pdf>

9. Майя Зумер.Руководство по (электронным) национальным библиографиям: промежуточные результаты. 71th IFLA General Conference and Council "Libraries - A voyage of discovery" August 14th - 18th 2005, Oslo, World Library and Information Congress.
10. Александр Джиго, Александра Теплицкая. Состояние национальных библиографий в странах Содружества Независимых Государств (СНГ) в Средней Азии - WORLD LIBRARY AND INFORMATION CONGRESS: 72ND IFLA GENERAL CONFERENCE AND COUNCIL 20-24 August 2006, Seoul, Korea
11. Электронные национальные библиографии, обзор современного состояния Унни Кнутсен, Национальная библиотека Норвегии Отделение Осло 1-9 august 2003, Berlin. World Library and Information Congress: 69th IFLA Conference and Council.
12. Заключительные рекомендации Международной Конференции по Национальным Библиографическим службам ICNBS Copenhagen, 25-27 november, 1998 IFLA The final recommendations of the International Conference on National Bibliographic Services. 2002. <http://www.ifla.org/VI/3/icnbs/fina.htm> (17. 4. 2003) Functional requirements for bibliographic records: final report .1998. München: Saur.
13. Грузинова Л.Б.Иностранная библиография: Учебное пособие , 1997

ICNBS
COPENHAGEN
25-27 November 1998



(The final recommendations of the International Conference on National Bibliographic Services)

ეროვნული ბიბლიოგრაფიული სამსახურების საერთაშორისო კონფერენციის დასკვნითი რეკომენდაციები

IFLA. კოპენჰაგენი. 1998, 25-27 ნოემბერი

კონფერენციამ მოიწონა უნივერსალური ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის (UBC) კონცეფცია, როგორც გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ბიბლიოგრაფიული აღრიცხვისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სისტემის განვითარებისთვისაა მოწოდებული.

აღნიშნა ეროვნული ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა, ვინაიდან, ის უნივერსალური ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის წინაპირობას წარმოადგენს,

აღიარა ეროვნული ბიბლიოგრაფიის, როგორც ძირითადი ინსტრუმენტის მნიშვნელობა, ეროვნული ბეჭდური მემკვიდრეობის სრულყოფილი რეგისტრაციის უზრუნველყოფისა და ეფექტური ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის საქმეში,

დაადასტურა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და ეროვნული ბიბლიოგრაფიების სააგენტოებს, სამსახურებს შეუძლიათ კოოპერაციაში მუშაობა სხვა სააგენტოებთან ერთად, მაგრამ ძირითადი პასუხისმგებლობა კოორდინაციასა და სტანდარტების შესრულებაზე დააკისრა ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს,

დაადასტურა სავალდებულო ეგზემპლარის მნიშვნელობა, როგორც გარანტია იმისა, რომ კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობა, აგრეთვე სახელმწიფოს ლინგვისტური თავისებურებები დაცული და ხელმისაწვდომი იქნება, როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი მომხმარებლისათვის,

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეროვნული ბიბლიოგრაფიული სამსახურების საერთაშორისო კონფერენციამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

სავალდებულო ეგზემპლარი

1. სახელმწიფოებმა, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა გააანალიზონ მოქმედი კანონმდებლობა სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ და განიხილონ მისი დებულებები ამჟამინდელი და სამომავლო მოთხოვნილებების შესაბამისად, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გადახედონ მოქმედ კანონმდებლობას;
2. სახელმწიფოებმა, რომლებშიც ამჟამად არ არის მიღებული კანონი სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ, აუცილებლად უნდა მიიღონ;
3. ახალ კანონებში ან ანალოგიურ ნორმატიულ დოკუმენტებში დეკლარირებული უნდა იყოს სავალდებულო ეგზემპლარის მიზანი; მათში მოცემული უნდა იყოს გარანტიები იმისა, რომ სავალდებულო ეგზემპლარი შეესაბამება ზემოთ დეკლარირებული ამოცანების მიღწევას; ტერმინები და ფორმულირებები უნდა მოიცავდეს ინფორმაციის მატარებელი მასალების არა მხოლოდ არსებულ სახეობებს, არამედ სხვა ნაირსახეობასაც, რომლებიც შესაძლოა შემდგომში განვითარდეს; უნდა იყოს მითითებული აგრეთვე იმ ზომების შესახებ, რომლებიც კანონების შესრულების გარანტიას უზრუნველყოფს; კანონმდებლობაში, შესაძლებელია სავალდებულო ეგზემპლარის მიმართ პასუხისმგებლობის განაწილება რამდენიმე ეროვნულ ორგანიზაციას შორის;

ეროვნული ბიბლიოგრაფიის მომცველობა

4. ეროვნული ბიბლიოგრაფიები უნდა მოიცავდნენ მიმდინარე ეროვნულ პროდუქციას და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდნენ რეტროსპექტულ მომცველობას; აუცილებლობის შემთხვევაში ეროვნულმა

ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა უნდა შეიმუშავონ და გამოაქვეყნონ შერჩევის კრიტერიუმები;

5. ეროვნული ბიბლიოგრაფია უნდა შეიცავდეს ცნობებს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა ენასა და დამწერლობაზე გამოცემული მასალების შესახებ; და შეძლებისდაგვარად ჩანაწერებში მითითებული უნდა იყოს მონაცემები ასევე იმ ენასა და დამწერლობაზე, რომლებზეც გამოქვეყნებულია პირველწყარო;

ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარდგენა და ოპერატიულობა

6. მრავალნაირი ფორმატების არსებობის გათვალისწინებით, რომლებითაც ვრცელდება ეროვნული ბიბლიოგრაფიები, ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სამსახურებმა მომხმარებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უნდა გამოიყენონ ერთი ან მეტი შესაბამისი ფორმატი, და ეს ფორმატები უნდა პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ეს ეხება სპეციფიკური მოთხოვნების მომხმარებელსაც). ყოველ შემთხვევაში, გავრცელებისთვის გამოყენებული ერთ-ერთი ფორმატი მაინც, უნდა პასუხობდეს ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო დაცვისა და შენახვის მოთხოვნებს და უნდა იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი.
7. მასალები მათი გამოქვეყნებიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა აისახოს ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში. ეს უნდა გაკეთდეს მათი ეფექტური გავრცელებისთვის. მომხმარებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მასალების მიწოდების ფორმები მუდმივად უნდა იხვეწებოდეს, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებელს შეფერხების გარეშე, დროულად შეიძინოს რეგისტრირებული მასალები;
8. ეროვნული ბიბლიოგრაფიის ყოველი ფორმატის ყოველი გამოშვება იდენტიფიკაციის მიზნით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ბიბლიოგრაფიის დასახელება;
 - გამოშვების ქრონოლოგიური მომცველობა;
 - გამოცემის ადგილი და გამომცემელი;
 - პუბლიკაციის თარიღი;
 - მისი საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი;
 - ინფორმაცია საავტორო უფლების შესახებ;
 - გამოცემებში საკატალოგიზაციო აღწერილობის არსებობა (კატალოგიზაცია გამოცემებში), თუ შესაძლებელია;
 - ინფორმაცია ფასის და მიღების შესაძლებლობის შესახებ;
9. გარდა ამისა, ეროვნულ ბიბლიოგრაფიას დართული უნდა ჰქონდეს შესავალი და შესაბამისი განმარტებები მომხმარებლისათვის. შესაძლოა მათი ცალკე გამოცემაც. მაგ. როდესაც ეროვნული ბიბლიოგრაფია გამოდის ელექტრონული სახით, განმარტებული უნდა იყოს შემდეგი დეტალები:
 - წყაროები, რომელთა საფუძველზე შედგენილია ჩანაწერები. მაგ. ჩანაწერები შედგენილია იმ ეგზემპლარებიდან, რომლებიც დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში სავალდებულო ეგზემპლარზე შეთანხმების შესაბამისად.
 - ქრონოლოგიური მომცველობა;
 - პერიოდულობა;

- მასალის დაჯგუფება;
 - გამოყენებული ბიბლიოგრაფიული, საკლასიფიკაციო და საკატალოგიზაციო საშუალებები, ადგილობრივი და ეროვნული დამატებების ჩათვლით;
 - გამოყენებული სპეციალური ტერმინების სია, თანდართული განმარტებებით და შემოკლებებით;
 - ძირითადი დანაყოფების ნუსხა ან სისტემური განლაგების სქემა (თუ ასეთი გამოიყენება);
 - მიღებული ტრანსლიტერაციის სისტემის აღწერილობა (თუ ასეთი გამოიყენება);
 - დაჯგუფების სისტემის აღწერილობა;
 - სისტემური მოთხოვნები, თუ ასეთი გამოიყენება;
10. ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში შეტანილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, შედგენილი უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და შესაბამისად განლაგებული, რათა დაშვების წერტილებმა დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები, იმ ფორმატების პარამეტრების შესაბამისად, რომლებიც გავრცელებისათვის არის გამოყენებული;

გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები

11. ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ეროვნულ პროდუქციაზე ამომწურავი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შექმნაზე (ან კოორდინაცია გაუწიოს მათ მომზადებას), უნდა გამოიყენოს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, კატალოგიზაციის პრინციპები, საიდენტიფიკაციო სისტემები, როგორცაა ISBN, ISSN, ალფაბეტის კონვერსიის სისტემები (ტრანსლიტერაცია), ავტორიტეტული კონტროლი, კლასიფიკაციის სისტემები, მეტამონაცემები და ციფრული ობიექტების მუდმივი აღნიშვნა;
12. ეროვნულმა ბიბლიოგრაფიულმა სააგენტოებმა უნდა გამოიყენონ ძირითადი აღწერილობის ელემენტები, რომლებიც რეკომენდებულია IFLA-ს კვლევითი ჯგუფის მიერ დასკვნით მოხსენებაში ფუნქციური მოთხოვნებისა და ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერების შესახებ (FRBR) (Saur:Munich, 1998. UBCIM Publications New Series; vol.19);
13. ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო უნდა იყოს ლიდერი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების სრულყოფასა და დანერგვაში, იმ პრინციპებისა და ბიბლიოგრაფიული საშუალებების განვითარების მხარდაჭერაში, რომლებიც ჩამოთვლილი იყო მე-11 პარაგრაფში, მათ შორის სტანდარტების განვითარების და გავრცელების პროექტების, ავტორიტეტული კონტროლის სახელმძღვანელოების და მეთოდების ავტორიტეტული მონაცემების საერთაშორისო გაცვლის გასაუმჯობესებლად;
14. განსაკუთრებული ყურადღება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნდა მიექცეს ბიბლიოგრაფიული გაცვლით ფორმატების თავსებადობის, კონვერტირების და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რომლებსაც იყენებენ საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და საგამომცემლო საზოგადოებები. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენჭოს კონვერსიის პროცესში ყველა ელემენტის იდენტიფიკაციასა და შენარჩუნებას;

15. ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოები მხარს უნდა უჭერდნენ ბიბლიოგრაფიული სტანდარტების ჰარმონიზაციას ყველა სახეობის პუბლიკაციებზე, დაწყებული გრძელდებადი გამოცემებით.

პერსპექტივები

16. IFLA-მ უნდა აღმოუჩინოს დახმარება ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს არსებული სახელმძღვანელოების გადახედვაში, რათა გათვალისწინებული იყოს პუბლიკაციების ყველა ახალი და სამომავლო ფორმები;
17. IFLA-მ უნდა ხელი შეუწყოს რეგიონებში მრავალეროვნული ბიბლიოგრაფიების გამოცემების შესწავლას, სადაც რაიმე მიზეზის გამო, ეროვნული ბიბლიოგრაფიები არ გამოიცემა და სადაც არსებობს გეოგრაფიული, ლინგვისტური და კულტურული კავშირები;
18. IFLA-მ უნდა მხარი დაუჭიროს სამთავრობათშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მოხდეს მათი პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიებში აღრიცხვა, საერთაშორისო სტანდარტების (ან საკუთარი სტანდარტების) საფუძველზე;
19. IFLA უნდა ეხმარებოდეს ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს განავითარონ თავიანთი ეროვნული ბიბლიოგრაფიული მოღვაწეობა, მაგ. შეიმუშაონ ეროვნული ბიბლიოგრაფიის განვითარების ექსპერიმენტული პროექტები, ასევე სახელმძღვანელოები ეროვნული ბიბლიოგრაფიების შესაქმნელად, ორგანიზაცია გაუკეთონ ეროვნულ, რეგიონულ თუ საერთაშორისო, აგრეთვე სასწავლო და სამუშაო სემინარებს ჩატარებას;
20. ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოები აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ახალი ბიბლიოგრაფიული სტანდარტების, ახალი კანონების შემუშავებაში სავალდებულო ეგზემპლარზე. ამ მიზნით უნდა მოაწყონ სემინარები და სასწავლო კურსები, რათა ჰქონდეთ გარანტია იმისა, რომ სპეციალისტებიც და საბოლოო მომხმარებლებიც გაეცნობიან ახალ მოთხოვნილებებს;
21. ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოები რეგულარულად უნდა აფასებდნენ ამ რეკომენდაციების შედეგებს;
22. ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოები, რომლებსაც არ გააჩნიათ ელექტრონული დაშვება, არ აღმოჩნდნენ არახელსაყრელ მდგომარეობაში და შესძლონ დარჩენა მსოფლიო ბიბლიოგრაფიულ საზოგადოებებთან;
23. IFLA-მ ან იუნესკოს წევრმა ქვეყნებმა უნდა მიმართონ იუნესკოს - მოიწონოს ეს რეკომენდაციები.

თარგმანი: თინათინ ლომჯარია